# საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების პრაქტიკა საქართველოს საჯარო დაწესებულებებში

2021

*კვლევაზე მუშაობდნენ:*

*გოგა თუშურაშვილი*

*ქეთი თოფურია*

*გამოქვეყნების თარიღი:*

*სექტემბერი, 2021*

*მოცემული მასალის მომზადება დაფინანსებულია შვედეთის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტოს, Sida-ს მიერ. შინაარსზე პასუხისმგებლობა სრულად ეკისრება მის შემქმნელს. Sida შესაძლოა არ იზიარებდეს გამოთქმულ ხედვებსა და ინტერპრეტაციებს.*

# სარჩევი


| | |
|---|---|
| ძირითადი მიგნებები | 4 |
| შესავალი | 5 |
| ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების შეფასების მეთოდოლოგია | 6 |
| ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების სტატისტიკა | 9 |
| ცენტრალური საჯარო დაწესებულებები | 14 |
| სამინისტროებს დაქვემდებარებული უწყებები | 19 |
| საქართველოს მთავრობასთან ანგარიშვალდებული და სხვა დამოუკიდებელი უწყებები | 21 |
| აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საჯარო დაწესებულებები | 22 |
| ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების პრაქტიკა | 23 |
| პროაქტიულად გამოქვეყნებული ინფორმაციის ფორმატი და არქივი | 26 |
| ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების დინამიკა | 27 |
| საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების კარგი პრაქტიკა და რეკომენდაციები | 34 |

## ძირითადი მიგნებები

- 2013 წლიდან, საქართველოს ხელისუფლებას, ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების სტანდარტის გაუმჯობესების მიზნით, მნიშვნელოვანი ნაბიჯები არ გადაუდგამს.

- მონიტორინგის ობიექტი 123 საჯარო დაწესებულებიდან, 2021 წლის სექტემბრის მდგომარეობით 13-ს საერთოდ არ ჰქონდა საკუთარი ვებგვერდი;

- ასევე, 13 საჯარო დაწესებულებას ვებ-გვერდზე არ ჰქონდა შექმნილი საჯარო ინფორმაციის განყოფილება ან ამ განყოფილებაში არ ჰქონდა არანაირი ინფორმაცია გამოქვეყნებული;

- 2021 წელს საჯარო ინფორმაციის პროაქტიული ხელმისაწვდომობის საშუალო მაჩვენებელი 56%-ია, რაც 1%-ით აღემატება 2020 წლის, ხოლო 15%-ით ჩამორჩება 2014 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს;

- 2021 წელს, შესაბამისი სამართლებრივი აქტის მოთხოვნების დაცვით მხოლოდ 6 საჯარო დაწესებულებას (საქართველოს პარლამენტი, შინაგან საქმეთა სამინისტრო, სტატისტიკის ეროვნული სამსახური, აჭარის ა/რ-ის უმაღლესი საბჭო, საფინანსო-ანალიტიკური სამსახური, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი) ჰქონდა სრულყოფილად (100%-ით) გამოქვეყნებული ინფორმაცია;

- ცენტრალურ საჯარო დაწესებულებებს შორის ყველაზე დაბალი შეფასება აქვთ მთავრობის ადმინისტრაციას (31%) და საგარეო საქმეთა სამინისტროს (36%).

- 2020 წლის IDFI-ს მონიტორინგის შემდეგ, დამატებით 7-მა უწყებამ უზრუნველყო ვებ-გვერდზე საჯარო ინფორმაციის განყოფილების შექმნა და გარკვეული ინფორმაციის გამოქვეყნება.

- 2020 წელთან შედარებით, 14 ცენტრალური საჯარო დაწესებულებიდან 6-მა, გააუარესა ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების მაჩვენებელი;

- 2020 წელთან შედარებით, ცენტრალური საჯარო დაწესებულებების საერთო მაჩვენებელი 4%-ით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საჯარო დაწესებულებების - 19%-ით, ხოლო მთავრობას დაქვემდებარებული და სხვა დამოუკიდებელი უწყებების 1%-ით გაუარესდა;

- 2020 წელთან შედარებით, სამინისტროებს დაქვემდებარებული სსიპ-ების ინფორმაციის პროაქტიული ხელმისაწვდომობის მაჩვენებელი 4%-ით გაუმჯობესდა. მიუხედავად ამისა, მათ 50%-ს, სავალდებულოდ გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის 50%-ზე ნაკლები ჰქონდა განთავსებული საკუთარ ვებგვერდზე;

- ყველაზე პრობლემური საკითხი, კვლავ ფინანსების განკარგვასთან დაკავშირებული ინფორმაციის გამოქვეყნება რჩება;

- არცერთ შეფასებულ საჯარო დაწესებულებას არ ჰქონდა გამოქვეყნებული ინფორმაცია ღია მონაცემების (მაგ. CSV ან XML) სახით. 29 საჯარო დაწესებულებას კონკრეტული ფინანსური ინფორმაცია გამოქვეყნებული ჰქონდა Excel-ის ფორმატში;

- მხოლოდ 60 საჯარო დაწესებულების ვებგვერდზე იყო ხელმისაწვდომი განვლილ წლებში პროაქტიულად გამოქვეყნებული ინფორმაციის არქივი.

## შესავალი

საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნება საქართველოს მიერ ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) ფარგლებში აღებულ ვალდებულებათა შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია.

2013 წლის 26 აგვისტოს საქართველოს მთავრობის N219 დადგენილებით, საწყის ეტაპზე ქვეყანაში დამკვიდრდა პროაქტიული გამჭვირვალობის გარკვეული სტანდარტი, რომელიც სამომავლოდ საჭიროებდა გაუმჯობესებას. კერძოდ, მთავრობის ამ დადგენილებით განსაზღვრული სავალდებულო პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის ნუსხა[1], მოიცავს ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობასთან და ფინანსებთან დაკავშირებული მინიმალური ინფორმაციის ჩამონათვალს, რომელიც ვერ უზრუნველყოფს პროაქტიული გამჭვირვალობის მაღალ სტანდარტს. 2013 წლის შემდეგ, მიუხედავად IDFI-ს არაერთი რეკომენდაციისა საქართველოს ხელისუფლებას მისი გაუმჯობესების თვალსაზრისით მნიშნელოვანი ნაბიჯები არ გადაუდგამს. წლებია საქართველოს ხელისუფლების მხრიდან, სათანადო რეაგირების გარეშე რჩება IDFI-ს ინიციატივა, რომელიც ითვალისწინებს ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების არსებული სტანდარტის გაუმჯობესებას და რეფორმის მეორე ტალღის განხორციელებას. ამასთან, განვლილ წლებში IDFI-ს კვლევები ცხადყოფდა, რომ საჯარო დაწესებულებების

[1] სამოქალაქო საზოგადოებასთან კონსულტაციების, შეხვედრებისა და მოლაპარაკებების ხანგრძლივი პერიოდის შემდეგ, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტისა (IDFI) და სხვა არასამთავრობო ორგანიზაციების აქტიური მხარდაჭერით, საქართველოს მთავრობამ 2013 წლის 26 აგვისტოს მიიღო №219 დადგენილება **„საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ“.** დადგენილება ძალაში შევიდა 2013 წლის 1 სექტემბერს და მთავრობის მმართველობის სფეროში შემავალ საჯარო დაწესებულებებს დაევალათ „საჯარო ინფორმაციის“ ვებგვერდების შექმნა და მთავრობის დადგენილების დანართით გათვალისწინებული ინფორმაციის გამოქვეყნება საკუთარ ელექტრონულ რესურსებზე 2013 წლის 31 დეკემბრამდე.

უმრავლესობა ვერ უზრუნველყოფდა მთავრობის არსებული  დადგენილებით დაკისრებული მინიმალური  ვალდებულებების ჯეროვან შესრულებასაც კი.

ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების მნიშვნელობა, კიდევ უფრო თვალსაჩინო გახდა COVID 19 პანდემიის დაწყების შემდეგ,  როდესაც საზოგადოების სათანადო ინფორმირება ვირუსის გავრცელების პრევენციის  ერთ-ერთ მნიშვნელოვან მექანიზმად იქცა. ამასთან, კრიზისული მდგომარეობის ფონზე,  მნიშვნელოვნად გაიზარდა საბიუჯეტო სახსრების გაუმჭვირვალე და არარაციონალური განკარგვის რისკები.  მსგავსი რისკების ზრდას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი, ქვეყანაში გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობის პირობებში საჯარო ინფორმაციის გაცემაზე დაწესებულმა შეზღუდვებმა, ასევე, შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე სატენდერო პროცედურების გარეშე განხორციელებულმა შესყიდვებმა და სხვა.  ქვეყანაში არსებული გამოწვევების და საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით IDFI-მ  შეიმუშავა და საქართველოს ხელისუფლებას რეკომენდაციის სახით წარუდგინა, კოვიდ-19 კრიზისის დროს საჯარო დაწესებულებების მიერ პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის ნუსხა. მიუხედავად საკითხის მნიშნელობისა, ამ დრომდე, ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების არსებულ სტანდარტში, ცვლილებები არ შესულა. შესაბამისად, წინამდებარე ანგარიშის ფარგლებში, განხორციელებული საჯარო ინფორმაციის პროაქტიული ხელმისაწვდომობის კვლევის მეთოდოლოგიაში ცვლილებები კვლავ არ განხორციელებულა.

ანგარიშში წარმოდგენილია საქართველოში საჯარო ინფორმაციის პროაქტიული ხელმისაწვდომობის შეფასება **2021 წლის სექტემბრის** მდგომარეობით და მოცემულია ინფორმაციის პროაქტიული ხელმისაწვდომობის ტენდეციები განვლილ წლებთან შედარებით. ანგარიში მოიცავს ასევე საჯარო დაწესებულებათა პროაქტიული გამჭვირვალობის რეიტინგებს.

## ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების შეფასების მეთოდოლოგია

საქართველოს მთავრობის დადგენილების თანახმად კვარტალურად გამოსაქვეყნებელი ინფორმაცია ქვეყნდება კვარტლის დასრულებიდან ერთი თვის ვადაში, ხოლო წლიურად გამოსაქვეყნებელი ინფორმაცია  წლის დასრულებიდან სამი თვის ვადაში. შესაბამისად, მონიტორინგის განხორციელების პერიოდში (2021 წლის აგვისტო-სექტემბერი) დაწესებულებებს საკუთარ ვებ-გვერდებზე, განთავსებული უნდა ჰქონოდათ :

- *ყოველწლიური ინფორმაცია* **- 2020  წლის სრული მონაცემები**
- *კვარტალური ინფორმაცია* - **2020 წლის სრული  და 2021 წლის I და II კვარტლის მონაცემები**
- *ინფორმაცია რომელიც განახლებას ექვემდებარება გარკვეული ცვლილების შემთხვევაში* **- უახლესი მონაცემები**

შეფასების მეთოდოლოგია სრულად ეფუძნება საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრულ პროქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის ნუსხას და აფასებს, თუ რამდენად სრულყოფილად პასუხობს საჯარო დაწესებულებათა მიერ გამოქვეყნებული ინფორმაცია დადგენილებით გაწერილ ვალდებულებებს, როგორც შინაარსობრივი, ისე პერიოდულობის თვალსაზრისით. საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების მაქსიმალურ შეფასებას წარმოადენს 100 ქულა (100%). საქართველოს მთავრობის დადგენილებით გათვალისწინებული თითოეული ქვეპუნქტის მიხედვით მაქსიმალური შეფასებები გამოიყურება შემდეგნაირად:

## შეფასების მეთოდოლოგია მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული ნუსხის ქვეპუნქტების მიხედვით

| 1 | | 2 | | 3 | | 4 | | 5 | | 6 | | 7 | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| N | ქულა | N | ქულა | N | ქულა | N | ქულა | N | ქულა | N | ქულა | N | ქულა |
| 1.1 | 3 | 2.1 | 3 | 3.1 | 3 | 4.1 | 3 | 5.1 | 3 | 6.1 | 3 | 7.1 | 2 |
| 1.2 | 3 | 2.2 | 3 | 3.2 | 3 | 4.2 | 3 | 5.2 | 3 | 6.2 | 2 | 7.2 | 2 |
| 1.3 | 3 | 2.3 | 3 | 3.3 | 3 | 4.3 | 3 | 5.3 | 3 | | | | |
| 1.4 | 3 | 2.4 | 3 | | | 4.4 | 3 | 5.4 | 3 | | | | |
| 1.5 | 3 | 2.5 | 3 | | | | | 5.5 | 3 | | | | |
| 1.6 | 3 | | | | | | | 5.6 | 3 | | | | |
| | | | | | | | | 5.7 | 3 | | | | |
| | | | | | | | | 5.8 | 3 | | | | |
| | | | | | | | | 5.9 | 3 | | | | |
| | | | | | | | | 5.10 | 3 | | | | |
| | | | | | | | | 5.11 | 3 | | | | |
| | | | | | | | | 5.12 | 3 | | | | |
| | | | | | | | | 5.13 | 4 | | | | |

როგორც შეფასების ცხრილიდან ჩანს, საქართველოს მთავრობის დადგენილებით გათვალისწინებული 35 ქვეპუნქტიდან 30-ის შემთხვევაში თითოეულის მაქსიმალური შეფასება შეადგენს 3 ქულას, ხოლო 5 ქვეპუნქტი განსხვავებული მაქსიმალური ქულათა რაოდენობით ფასდება. აღნიშნული ქვეპუნქტები შერჩეული იქნა შემდეგი გარემოებების გათვალისწინებით:

1) **ქვეპუნქტები 5.12 და 5.13 (ერთად 4 ქულა) -** 5.13 ქვეპუნქტი, რომელიც ითვალისწინებს სამართლებრივ აქტებს საბიუჯეტო კოდექსით გათვალისწინებული ფონდებიდან ადმინისტრაციული ორგანოსათვის გამოყოფილი თანხების შესახებ, სრულად მოიცავს 5.12 ქვეპუნქტში გათვალისწინებულ ინფორმაციას (5.12 ქვეპუნქტი ითვალისწინებს აღნიშნული ფონდებიდან გამოყოფილი თანხების შესახებ ზოგად კვარტალურ ინფორმაციას). შესაბამისად ინსტიტუტის მიერ აღნიშნული პუნქტები ფასდება ერთობლივად. შეფასების დროს ინსტიტუტის მიერ პრიორიტეტად მიჩნეულია აღნიშნული თანხების გამოყოფის შესახებ სამართლებრივი აქტების განთავსება.
2) **ქვეპუნქტი 6.2 – (2 ქულა)**- მოცემული ქვეპუნქტი ითვალისწინებს იმ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოქვეყნებას, რომლებიც ადმინისტრაციული ორგანოს შეფასებით, საზოგადოებრივი ინტერესის შემცველია. ვინაიდან შემფასებელს არ შეუძლია განსაზღვროს, რომელ ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტს მიიჩნევს კონკრეტული ადმინისტრაციული ორგანო საზოგადოებრივი ინტერესის შემცვლელად, აღნიშნული ქვეპუნქტის მიხედვით განთავსებული ინფორმაცია ფასდება მხოლოდ მაქსიმალური 2 ქულით.
3) **ქვეპუნქტები 7.1 და 7.2** (თითოეულს 2 ქულა) - ამ ქვეპუნქტებით განსაზღვრულია საჯარო დაწესებულებათა სერვისების, მოსაკრებლების, ტარიფებისა და საფასურების შესახებ ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნება. ვინაიდან დაწესებულებათა დიდი ნაწილი მომხმარებლებს არ სთავაზობს რაიმე სახის სერვისს და შესაბამისად არ აქვთ დადგენილი რაიმე სახის ტარიფები, მოსაკრებლები და საფასურები (გარდა საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებული მოსაკრებლებისა, რომლის შესახებ ინფორმაციის განთავსება ისედაც სავალდებულოა საჯარო ინფორმაციის გვერდზე) ინსტიტუტის მიერ თითოეულის შესახებ ინფორმაციის განთავსება ფასდება მხოლოდ მაქსიმალური 2 ქულით.

საქართველოს მთავრობის დადგენილების მიხედვით, მისი მოქმედების სფერო[2] არ ვრცელდება საქართველოს მთავრობასთან ანგარიშვალდებულ და სხვა დამოუკიდებელ მთელ რიგ საჯარო დაწესებულებებზე. მსგავსი უწყებები შეფასდა[3] მათ მიერ მიღებული სამართლებრივი აქტებით,

[2] საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აგვისტოს N219 დადგენილების მოქმედება ვრცელდება: საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია, სამინისტროები, სახელმწიფო მინისტრის აპარატი, სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება, სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირები და საქართველოს მთავრობის უშუალო დაქვემდებარებაში არსებული აღმასრულებელი ხელისუფლების სპეციალური დანიშნულების გასამხედროებული დაწესებულება.

[3] საქართველოს მთავრობასთან ანგარიშვალდებული ის უწყებები, რომელთა მიერ საჯარო ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებასთან დაკავშირებით მიღებული სამართლებრივი აქტები არ იყო ხელმისაწვდომი, შეფასდა საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული ნუსხის მიხედვით.

რომლებიც ძირითად შემთხვევაში, საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი სტანდარტის იდენტურია.

- **სტატისტიკის ეროვნული სამსახური** - სტატისტიკის ეროვნული სამსახურის აღმასრულებელი დირექტორის 2018 წლის 9 ნოემბრის N199 ბრძანება;
- **კონკურენციის სააგენტო -** კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის 20 ნოემბრის N15 ბრძანება;
- **სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური -** სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსის 2015 წლის 21 ივლისის N25040 ბრძანება;
- **ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი -** საქპატენტის თავმჯდომარის 2021 წლის 24 მარტის N2 ბრძანება.
- **სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური -** სახელმწიფო ინსპექტორის 2020 წლის 28 დეკემბრის N10 ბრძანება

მონიტორინგის ფარგლებში, საქართველოს მთავრობის სისტემაში შემავალი უწყებების გარდა, ასევე შეფასდა საქართველოს პარლამენტი, პრეზიდენტის ადმინისტრაცია, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატი და სამინისტროები. აღნიშნული უწყებები შეფასდა შემდეგი სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის თითოეული პუნქტის მიხედვით:

- **საქართველოს პარლამენტი** - საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის 2013 წლის 31 დეკემბრის N132 ბრძანება;
- **პრეზიდენტის ადმინისტრაცია** - საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 2 სექტემბრის N692 ბრძანებულება;
- **აჭარის ა/რ-ის უმაღლესი საბჭო** - აჭარის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს 2014 წლის 20 მარტის N99 დადგენილება;
- **აჭარის ა/რ-ის მთავრობის აპარატი და სამინისტროები -** აჭარის ა/რ-ის მთავრობის 2013 წლის 10 ოქტომბრის N23 დადგენილება.

## ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების სტატისტიკა

2021 წლის აგვისტო-სექტემბერში IDFI-მ შეისწავლა საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების პრაქტიკა 123 საჯარო დაწესებულებაში და ამ მიზნით განახორციელა შემდეგ უწყებათა ვებ-გვერდების დეტალური მონიტორინგი:

- **საქართველოს პარლამენტი**
- **საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია**
- **საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია**
- **12 - სამინისტრო/სახელმწიფო მინისტრის აპარატი**
- **83 - სამინისტროს დაქვემდებარებული სსიპ და საქვეუწყებო დაწესებულება**

- **17 - საქართველოს მთავრობასთან ანგარიშვალდებული და სხვა დამოუკიდებელი უწყებები**
- **აჭარის ა/რ-ის უმაღლესი საბჭო**
- **აჭარის ა/რ-ის მთავრობის აპარატი**
- **4 - აჭარის ა/რ-ის სამინისტრო**

მონიტორინგის ობიექტი 121 საჯარო დაწესებულებიდან, 13 უწყებას საერთოდ არ ჰქონდა საკუთარი ვებგვერდი, 7 უწყების შემთხვევაში ვებგვერდზე არ იყო შექმნილი საჯარო ინფორმაციის განყოფილება, ხოლო 6 უწყების შემთხვევაში საჯარო ინფორმაციის გვერდზე არ ჰქონდა არანაირი ინფორმაცია გამოქვეყნებული. ერთ უწყებას, არ გააჩნდა საკუთარი ვებგვერდი, თუმცა  საჯარო ინფორმაციის განყოფილება შექმნილი იყო მისი ზემდგომი უწყების ელექტრონულ რესურსზე. დანარჩენი 94 საჯარო დაწესებულების ვებგვერდზე  შექმნილი იყო საჯარო ინფორმაციის განყოფილება და პროაქტიულად იყო გამოქვეყნებული ინფორმაცია. (მათ შორის ორი უწყების  საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების წესი და სტანდარტი შიდა სამართლებრივი აქტით დაინერგა/განახლდა 2021 წლიდან, შესაბამისად საანგარიშო წლის დასრულებამდე IDFI-მ აღნიშნული უწყებების შეფასებისგან თავი შეიკავა).

იმ უწყებებს შორის, რომლებსაც მონიტორინგის პერიოდში არ ჰქონდათ ვებგვერდი, ვებგვერდზე არ ჰქონდათ შექმნილი საჯარო ინფორმაციის განყოფილება, ან საჯარო ინფორმაციის განყოფილებაში არ ჰქონდათ ინფორმაცია გამოქვეყნებული, უმრავლესობა მიეკუთვნებოდა სამინისტროებს დაქვემდებარებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს. ერთადერთ სამინისტროს წარმოადგენს კულტურისა და სპორტის სამინისტრო, რომელიც 2021 წლის მარტში გამოეყო განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და მონიტორინგის პერიოდისათვის ვებ-გვერდის შექმნა ვერ იქნა უზრუნველყოფილი.

სამინისტროებს დაქვემდებარებულ უწყებებს შორის ჭარბობდნენ ახლად დაარსებული/რეორგანიზებული უწყებები, რომელთა ვებგვერდების შექმნა თუ მათზე საჯარო ინფორმაციის განთავსება ვერ იქნა უზრუნველყოფილი მონიტორინგის პერიოდისთვის. მაგალითად, 2020 წელს შეიქმნა სსიპ ციფრული მმართველობის სააგენტო, რომელიც წარმოადგენს სსიპ მონაცემთა გაცვლის სააგენტოს და სსიპ სმართ ლოჯიქის უფლება მონაცვლეს. სსიპ ციფრული მმართველობის სააგენტოს ვებგვერდი მონიტორინგის პროცესში არ იყო შექმნილი. 2018 წელს სასჯელაღსრულების და პრობაციის სამინისტროს იუსტიციის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება - სპეციალურ პენიტენციურ სამსახურად გარდაქმნის შემდეგ, მათ საჯარო ინფორმაციის განყოფილებაში შესაბამისი ინფორმაცია აღარ გამოქვეყნებულა და ვებგვერდზე კვლავ მითითებულია, რომ ის მუშაობს სატესტო რეჟიმში.

ასევე ვხდებით შემთხვევებს, როდესაც მონიტორინგის პროცესში ცალკეული სსიპ-ების საჯარო ინფორმაციის განყოფილება ტექნიკური სამუშაოების თუ სხვა მიზეზთა გამო არ იყო ხელმისაწვდომი. მაგალითად, განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის, ასევე გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის საჯარო ინფორმაციის განყოფილებაში განთავსებული დოკუმენტების გაცნობა მონიტორინგის პორცესში ვერ მოხერხდა.

მსგავსი პრობლემები შეინიშნება აგრეთვე, საქართველოს მთავრობასთან ანგარიშვალდებულ და სხვა დამოუკიდებელი უწყებების შემთხვევაში. მაგალითად, 2019 წელს დაფუძნდა საქართველოს პრემიერ-მინისტრის სათათბირო ორგანო ეროვნული უსაფრთხოების საბჭო, რომლის ვებგვერდზე შექმნილია საჯარო ინფორმაციის განყოფილება, თუმცა აღნიშნულ გვერდზე განთავსებულია მხოლოდ საჯარო ინფორმაციის ელექტრონულად მოთხოვნის საშუალება.

| | საჯარო ინფორმაციის გვერდზე არ აქვს არანაირი ინფორმაცია გამოქვეყნებული/განახლებული ან მონიტორინგის პროცესში საჯარო ინფორმაციის გვერდი იყო გათიშული |
|---|---|
| 1 | სპეციალური პენიტენციური სამსახური |
| 2 | ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს აპარატი |
| 3 | განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა |
| 4 | გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი |
| 5 | ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტო |
| 6 | სსიპ დელტა |

| | არ აქვთ ვებგვერდზე საჯარო ინფორმაციის განყოფილება |
|---|---|
| 1 | ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის საინვესტიციო ცენტრი |
| 2 | ლევან მიქელაძის სახელობის დიპლომატიური სასწავლო და კვლევითი ინსტიტუტი |
| 3 | ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა |
| 4 | საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი |
| 5 | შემოქმედებითი საქართველო |
| 6 | რელიგიის სააგენტო |
| 7 | სახელმწიფო ენის დეპარტამენტი |

| | არ აქვთ საკუთარი ვებგვერდი |
|---|---|
| 1 | კულტურის და სპორტის სამინისტრო |
| 2 | დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო |
| 3 | მსჯავრდებულთა პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ცენტრი |
| 4 | ციფრული მმართველობის სააგენტო |
| 5 | საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრი |
| 6 | დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტო |
| 7 | შრომის ინსპექციის სამსახური |
| 8 | ანაკლიის ღრმაწყლოვანი ნავსადგურის განვითარების სააგენტო |
| 9 | ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტო |
| 10 | კიბერ უსაფრთხოების ბიურო |
| 11 | თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ჰოსპიტალი |
| 12 | სახელისუფლებო სპეციალური კავშირების სააგენტო |
| 13 | სახელმწიფო უზრუნველყოფის სააგენტო |

2021 წლის სექტემბრის მდგომარეობით იმ  საჯარო დაწესებულებათა ინფორმაციის პროაქტიული ხელმისაწვდომობის საშუალო მაჩვენებელი, რომლებსაც შესაბამისი დადგენილების მიხედვით ვებგვერდზე გამოქვეყნებული აქვთ საჯარო ინფორმაცია (სულ 92 საჯარო დაწესებულება), შეადგენს 56%-ს. შესაბამისად, მოცემული უწყებები მათზე კანონით დაკისრებული ვალდებულების დაახლოებით, მხოლოდ ნახევარს ასრულებენ.

ინფორმაციის პროაქტიული ხელმისაწვდომობის არსებული მდგომარეობის  სრულფასოვანი შესწავლის  მიზნით, მნიშვნელოვანია მონიტორინგის შედეგების, საჯარო დაწესებულებათა სახეების და გამოქვეყნებული ინფორმაციის თემატური ჯგუფების მიხედვით ანალიზი.

## ცენტრალური საჯარო დაწესებულებები

მონიტორინგის შედეგების მიხედვით, საქართველოს ცენტრალური საჯარო დაწესებულებების (პარლამენტის აპარატი, მთავრობის ადმინისტრაცია, სამინისტროები) საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების მაჩვენებლები 31%-დან 100%-მდე მერყეობს. მათ შორის, ყველაზე მაღალი (100%) შედეგი, განვლილი წლის მსგავსად საქართველოს პარლამენტმა და შინაგან საქმეთა სამინისტრომ აჩვენა.

საქართველოს პარლამენტის 100%-იანი შედეგი, მიღებულია საქართველოს პარლამენტისათვის დამტკიცებული პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ნუსხის მიხედვით, სადაც სავალდებულო გამოსაქვეყნებლად განსაზღვრულია პარლამენტის ფუნქციურ საქმიანობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ინფორმაცია.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინიტროს შემთხვევაში, ვებ-გვერდზე პროაქტიულად გამოქვეყნებული ინფორმაცია, სრულად აკმაყოფილებს საქართველოს მთავრობის დადგენილებით დაწესებულ მოთხოვნებს. თუმცა, ფინანსური ინფორმაციის გამოქვეყნებისას უმეტესწილად კვლავ შემოიფარგლება მხოლოდ დადგენილების მოთხოვნების შესაბამისი ჯამური მონაცემების ხელმისაწვდომობით და არ აქვეყნებს დეტალურად ჩაშლილ ინფორმაციას. შინაგან საქმეთა სამინისტრო წარმოადგენს ერთ-ერთ იშვიათ გამონაკლისს, რომელიც საჯარო ინფორმაციის გვერდზე დოკუმენტაციას აქვეყნებს როგორც ქართულ ასევე ინგლისურ ენებზე.

ცენტრალურ საჯარო დაწესებულებებს შორის, ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების თვალსაზრისით, მოწინავე პოზიციებს იკავებენ ასევე, საქართველოს თავდაცვის სამინისტრო (97%) და საქართველოს განათლების, მეცნიერების კულტურისა და სპორტის სამინისტრო (91%). მისასალმებელია ის ფაქტი, რომ ამ სამინისტროების მიერ გათვალისწინებულია IDFI-ს მიერ ჯერ კიდევ 2014 წელს შემუშავებული რეკომენდაციები და უზრუნველყოფილია ზოგიერთი კატეგორიის მონაცემთა დეტალური გამოქვეყნება. მაგალითად, ორივე სამინისტროს შემთხვევაში შრომის ანაზღაურების და სამივლინებო ხარჯების შესახებ ინფორმაცია, სავალდებულოდ გამოსაქვეყნებელი ჯამური მონაცემების ნაცვლად წარმოდგენილია, თითოეულ თანამდებობის პირზე ცალ-ცალკე ხარჯვითი კატეგორიის მიხედვით. ავტოპარკის შესახებ გამოქვეყნებული ინფორმაცია შეიცავს დამატებით ისეთ დეტალებს როგორიცაა: ავტომობილის გამოშვების წელი, შესყიდვის თარიღი, საბალანსო ღირებულება და ნარჩენი ღირებულება.

ცენტრალურ საჯარო დაწესებულებებს შორის, ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების ყველაზე დაბალი მაჩვენებლები აქვთ საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციას (31%), საგარეო საქმეთა სამინისტროს (36%) და შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატს (38%).

განსაკუთრებით პრობლემურად შესაძლებელია შეფასდეს ცენტრალურ საჯარო დაწესებულებებს შორის საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი, მაგ. **მთავრობის ვებ-გვერდზე სახელმწიფო შესყიდვებთან და ფინანსებთან დაკავშირებული ინფორმაციის უდიდესი ნაწილი არ განახლებულა 2014 წლის შემდეგ.** შესაბამისად, მთავრობის

ადმინისტრაცია  2014 წლიდან ფაქტობრივად არ ასრულებს საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრულ ვალდებულებებს.

ასევე, განსაკუთრებული მნიშვნელობისაა, პანდემიის დაწყების შემდეგ საქართველოს მთავრობის განკარგულებების ხელმისაწვდომობის შეზღუდვა.  კერძოდ, 2020 წლის 19 მარტის შემდეგ, საქართველოს მთავრობის ვებგვერდზე განკარგულებების გამოქვეყნება შეწყდა. (საკანონმდებლო მაცნეს ვებ-გვერდზეც ხელმისაწვდომია მხოლოდ მცირე რაოდენობა).  2020 წლის სექტემბერში, IDFI-ის მოთხოვნაც მთავრობის განკარგულებების მოწოდების შესახებ, უპასუხოდ იქნა დატოვებული, რის შემდეგაც 2020 წლის 18 დეკემბერს IDFI-მ მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს. სამწუხაროდ, სასამართლო პროცესი მნიშვნელოვანი შეფერხებით მიმდინარეობს და სასამართლო სხდომა დღემდე არ ჩანიშნულა.  საქართველოს მთავრობის  განკარგულებების ვებ-გვერდზე  გამოქვეყნების შეწყვეტა  სავარაუდოდ  დაკავშირებულია  მის  შინაარსთან. მსგავსი მიდგომები მნიშვნელოვნად ეწინააღმდეგება საჯარო მმართველობისა და ანგარიშვალდებულების პრინციპებს.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ  მთავრობა ადმინისტრაცია წარმოადგენს პანდემიასთან ბრძოლის ფარგლებში მთავარ მაკოორდინირებელ ორგანოს და შესაბამისად მოქალაქეთა ინფორმირების ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს. ამასთან, 2019 წლიდან  საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ფუნქციად განისაზღვრა ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) საქართველოს წევრობის კოორდინირება ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე. აღნიშნული გარემოებები, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციას ანიჭებს ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვის განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას.

***საქართველოს მთავრობის განკარგულებების გამოქვეყნების პრაქტიკა 2020 წელს***

***საქართველოს მთავრობის განკარგულებების გამოქვეყნების პრაქტიკა 2021 წელს***

საგარეო საქმეთა სამინისტროს პროაქტიული გამჭვირვალობის დაბალი მაჩვენებელი უმეტესწილად განპირობებულია  იმ ფაქტით, რომ  ფინასური ინფორმაციის უდიდესი ნაწილი ხელმიუწვდომელია, ამასთან ყველაზე ახალი მონაცემები 2019 წლის მეორე კვარტლის მდგომარეობით არის წარმოდგენილი.  შერიგებისა და სამაქოლაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის შემთხვევაში, 2020 წლის მეორე კვარტლის შემდეგ ფინანსური ინფორმაცია აღარ განახლებულა.

დანარჩენი ცენტრალური საჯარო დაწესებულებების მაჩვენებლები 58%-დან 90%-მდე მერყეობს. მონიტორინგის პერიოდის გათვალისწინებით, ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების შეფერხების ერთ-ერთ მიზეზად შესაძლებელია განხილულ იქნას, covid 19 პანდემიის პირობებში სამუშაო პროცესში შექმნილი ფორს-მაჟორული სიტუაციები. თუმცა, ზოგიერთ უწყებას მთელი რიგი ფინანსური და სხვა კატეგორიის მონაცემების გამოქვეყნება შეწყვეტილი აქვთ 2019 წლამდე სხვადასხვა პერიოდში, შესაბამისად ამ უწყებების შემთხვევაში მონაცემების გამოქვეყნების შეფერხება ნაკლებად კავშირშია პანდემიის პირობებში შექმნილ კრიზისულ სიტუაციებთან. **მაგალითად, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2016 წლის შემდეგ არ გამოუქვეყნებია ინფორმაცია ბალანსზე რიცხული ავტომობილების და უძრავი ქონების, საწვავის ხარჯის, ავტომობილების ტექნიკური მომსახურების, სატელეკომუნიკაციო ხარჯების და მიღებული გრანტების შესახებ. ფინანსთა სამინისტროს 2014 წლის შემდეგ არ გამოუქვეყნებია ინფორმაცია სახელმწიფო ქონების გასხვისებისა და სარგებლობაში გადაცემის შესახებ, ხოლო 2019 წლის შემდეგ რეკლამაზე გაწეული ხარჯების შესახებ. ჯანდაცვის სამინისტროს 2015 წლის შემდეგ არ განუახლებია ინფორმაცია რეკლამაზე გაწეული ხარჯების შესახებ.**

მონიტორინგის ფარგლებში შეფასდა ასევე საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების პრაქტიკა. პრეზიდენტის ადმინისტრაციის საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების წესი დამტკიცდა, 2013 წლის 2 სექტემბრის N692 ბრძანებულებით, რომელიც საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი სტანდარტის შეკვეცილ და მნიშვნელოვნად სახეცვლილ ვერსიას წარმოადგენს. საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრულ ნუსხაში თავმოყრილია 35 სახის ინფორმაცია, პრეზიდენტის ადმინისტრაციის შემთხვევაში კი მხოლოდ - 18. მაგალითად, პრეზიდენტის ადმინისტრაციას არ ეკისრება ისეთი ინფორმაციის გამოქვეყნების ვალდებულება როგორიცაა: ადმინისტრაციის წლიური ანგარიში, საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებული სამართლებრივი აქტები, ვაკანსიები და კონკურსის შედეგები, რეკლამის განთავსებაზე გაწეული ხარჯები და სხვა.

IDFI-ს შეფასებით, მონიტორინგის პერიოდში, პრეზიდენტის ადმინისტრაციის ვებგვერდზე წარმოდგენილი იყო სავალდებულოდ განსაზღვრული პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის 89%.

## საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების შეფასება



## სამინისტროებს დაქვემდებარებული უწყებები

საჯარო დაწესებულებებში ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების დაბალი საშუალო მაჩვენებელი (56%), უმეტესწილად განპირობებულია სამინისტროებს დაქვემდებარებული უწყებების მიერ საკუთარ ვებგვერდზე მწირი ინფორმაციის გამოქვეყნებით. კერძოდ, საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და საქვეუწყებო დაწესებულებების ინფორმაციის გამოქვეყნების საშუალო მაჩვენებელი შეადგენს 53%-ს, მაშინ როდესაც მათი ზემდგომი ორგანოების საშუალო მაჩვენებელი 71%-ია.




სამინისტროთა დაქვემდებარებაში შემავალ უწყებათა საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების საშუალო მაჩვენებლები 15%-დან 70% -მდე მერყეობს. ყველაზე მაღალი საშუალო მაჩვენებელი ფინანსთა სამინისტროს სისტემაში შემავალმა უწყებებმა (სულ 6) აჩვენეს - 70,83%, ყველაზე დაბალი კი საგარეო საქმეთა სამინისტროს (1 უწყება) - 15%. საგარეო საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებული უწყებების საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების საშუალო მაჩვენებელი მიღებულია, მხოლოდ სსიპ - საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ მაჩვენებლის მიხედვით, ვინაიდან სხვა უწყებებს მონიტორინგის პერიოდში ვებ-გვერდი არ გააჩნდათ.




სამინისტროებს დაქვემდებარებულ უწყებებს შორის, საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების 100%-იანი მაჩვენებლები მხოლოდ ორმა უწყებამ სსიპ საფინანსო ანალიტიკურმა სამსახურმა და სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა მიიღო.

სამინისტროებს დაქვემდებარებული უწყებების დაახლოებით 50%-ს, პროაქტიულად სავალდებულოდ გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის 50%-ზე ნაკლები ჰქონდა გამოქვეყნებული. საჯარო სამართლის იურიდიული პირები ვებგვერდზე უმეტესწილად ათავსებენ მხოლოდ უწყების შესახებ ზოგადი ხასიათის ცნობებს, რაც არ პასუხობს პროაქტიული გამჭვირვალობის პრინციპებს. საჯარო ინფორმაციის გამოქვეყნების 30%-ზე დაბალი მაჩვენებლები აქვთ ისეთ მაღალი საზოგადოებრივი მნიშვნელობის და შემოსავლების მქონე საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს როგორებიც არიან:

ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო - 29%, სურსათის ეროვნული სააგენტო – 24%, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი - 25%, , მუნიციპალური განვითარების ფონდი - 24%, სასაზღვრო პოლიცია-17%, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო 12% და სხვა.

## საქართველოს მთავრობასთან ანგარიშვალდებული და სხვა დამოუკიდებელი უწყებები

მონიტორინგის ფარგლებში, IDFI-მ ასევე განახორციელა საქართველოს მთავრობასთან ანგარიშვალდებული და სხვა დამოუკიდებელი 17 უწყების ვებ-გვერდის მონიტორინგი, საიდანაც 13-ს საჯარო ინფორმაციის განყოფილებაში ჰქონდა გამოქვეყნებული გარკვეული ინფორმაცია. ამ უწყებების მიერ, უმეტესწილად დადგენილია საქართველოს მთავრობის დადგენილების იდენტური სტანდარტი, შესაბამისად შეფასებაში მნიშვნელოვანი მეთოდოლოგიური ცვლილებები არ განხორციელებულა. მათ შორის ორი უწყების, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის და ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის მიერ საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების წესი და სტანდარტი შიდა სამართლებრივი აქტით დაინერგა/განახლდა 2021 წლიდან და აღნიშნული დადგენილებების შესაბამისად დაწყებულია ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნება. საანგარიშო წლის დასრულებამდე IDFI-მ აღნიშნული უწყებების შეფასებისგან თავი შეიკავა.

დანარჩენი 11 მსგავსი უწყების მონიტორინგის შედეგების მიხედვით, ყველაზე მაღალი შედეგი სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა (100%) და საჯარო და კერძო თანამშრომლობის სააგენტომ (96%) აჩვენეს. აღსანიშნავია ის ფაქტი, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ, დამატებით უზრუნველყოფილია ზოგიერთი კატეგორიის მონაცემთა დეტალური გამოქვეყნება. მაგალითად, ბალანსზე რიცხული უძრავი ქონების შესახებ გამოქვეყნებულია ქონების დასახელება, ფართობი, პირველადი საბალანსო ღირებულება და ნარჩენი საბალანსო ღირებულება. ასევე, მიღებული გრანტების შემთხვევაში გამოქვეყნებულია საგრანტო ხელშეკრულებების რეესტრი, სადაც ასახულია გრანტის გამცემის, მიზნობრიობის, საგრანტო ხელშეკრულების ვადა, საგრანტო ხელშეკრულების ღირებულება და საანგარიშო წელს ათვისებული გრანტის ოდენობის შესახებ დეტალური ინფორმაცია.

დანარჩენი უწყებების მაჩვენებლები 17%-დან 70%-მდე მერყეობს. მათ შორის ყველაზე დაბალი შეფასება, ბიზნეს ომბუდსმენის აპარატმა (17%) და ახალგაზრდობის სააგენტომ აჩვენა (18%) აჩვენა. ამ უწყებებს ვებ-გვერდზე წარმოდგენილი აქვს უწყების საქმიანობასთან და საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული მხოლოდ ზოგადი ინფორმაცია.

სხვა უწყებების შემთხვევაშიც მნიშვნელოვნად შეზღუდულია ფინანსური ინფორმაციის ხელმისაწვდომობა. მაგალითად, არანაირი მსგავსი ფინანსური ინფორმაცია არ აქვს გამოქვეყნებული სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურს, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს და იურიდიული დახმარების სამსახურს.

## აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საჯარო დაწესებულებები

2021 წლის მონიტორინგის ფარგლებში, IDFI-მ ასევე  განახორციელა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 6 საჯარო დაწესებულების (აჭარის ა/რ-ის უმაღლესი საბჭო, მთავრობის აპარატი და 4 სამინისტრო) ვებ-გვერდის მონიტორინგი.

მონიტორინგის შედეგების მიხედვით, შეფასებულ 6 უწყებას შორის, ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აქვს აჭარის ა/რ-ის უმაღლეს საბჭოს **- 100%.** აჭარის ა/რ-ის უმაღლესი საბჭო შეფასდა,  მათ მიერ 2014 წლის 20 მარტს დამტკიცებული პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ნუსხის მიხედვით, სადაც გათვალისწინებულია 28 სხვადასხვა ტიპის ინფორმაციის გამოქვეყნება.  აღნიშნული ნუსხა, უმაღლესი საბჭოს საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე საქართველოს მთავრობის დადგენილების სახეცვლილ ვერსიას წარმოადგენს.

თუმცა, ძირითად შემთხვევაში შენარჩუნებულია საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი სტანდარტი.

აჭარის ა/რ-ის მთავრობის აპარატის და სამინისტროების მიერ ინფორმაცია პროაქტიულად გამოქვეყნებულია აჭარის ა/რ-ის მთავრობის ერთიან პორტალზე, სადაც თითოეული უწყებისთვის შექმნილია განცალკევებული საჯარო ინფორმაციის განყოფილება. აღნიშნული უწყებებისთვის, პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის ნუსხა განსაზღვრულია, აჭარის ა/რ-ის მთავრობის 2013 წლის 10 ოქტომბრის N23 დადგენილებით, რომელიც საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული ნუსხის იდენტურია. კვლევის შედეგების მიხედვით, მათ შორის, ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აჭარის ა/რ-ის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ჰქონდა - 51%.

## ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების პრაქტიკა

საქართველოს მთავრობის დადგენილებით 35 პუნქტად ჩამოთვლილი საჯარო ინფორმაცია, მათი თემატიკის მიხედვით დაყოფილია 7 ჯგუფად:

1) ზოგადი ინფორმაცია ადმინისტრაციული ორგანოს შესახებ (6 პუნქტი);
2) საჯარო ინფორმაციის გვერდი (5 პუნქტი);
3) ინფორმაცია ადმინისტრაციული ორგანოს საკადრო უზრუნველყოფის შესახებ (3პუნქტი);
4) ინფორმაცია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების და სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ (4 პუნქტი);

5) ინფორმაცია ადმინისტრაციული ორგანოს დაფინანსების და ხარჯთაღრიცხვის შესახებ (13 პუნქტი);
6) სამართლებრივი აქტები (2 პუნქტი);
7) სხვა საჯარო ინფორმაცია (2 პუნქტი).

მონიტორინგის შედეგების მიხედვით, საჯარო დაწესებულებებისათვის ყველაზე პრობლემური იმ თემატურ ჯგუფებში გაერთიანებული ინფორმაციის გამოქვეყნება იყო, რომლებიც უკავშირდებოდა ადმინისტრაციული ხარჯების განკარგვას. მაგალითად, სახელმწიფო შესყიდვების და ქონების პრივატიზების თემატური ჯგუფის პროაქტიული ხელმისაწვდომობის საერთო მაჩვენებელი მხოლოდ- 34,2%, ხოლო დაფინანსების და ხარჯთაღრიცხვის - 40%-ია. ამ ჯგუფებში, გაერთიანებულ ცალკეული პუნქტების მიხედვით, ყველაზე პრობლემური საჯარო დაწესებულებების მიერ გასხვისებული ქონების (25,9%) შესახებ ინფორმაციის განთავსება იყო. ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების დაბალი მაჩვენებელი დაფიქსირდა ასევე ისეთ ინფორმაციასთან დაკავშირებით, როგორიც არის: რეკლამის ხარჯი - 26,9%, მიღებული გრანტები - 27,7%, საბიუჯეტო ფონდებიდან მიღებული დაფინანსება - 28,6%, გაცემული გრანტები - 30,9%, და ბალანსზე რიცხული უძრავი ქონება - 36,9%.

საჯარო დაწესებულებისათვის 10 ყველაზე პრობლემურ ინფორმაციას შორის, ფინანსური მონაცემების გარდა, ასევე მოხვდა საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით შემოსული განცხადებების დაკმაყოფილების სტატისტიკური მონაცემები (30,1%).

საჯარო დაწესებულებები პროაქტიულად ყველაზე მეტად აქვეყნებენ სამართლებრივი აქტების და ზოგადი ინფორმაციის თემატურ ჯგუფებში გაერთანებულ ინფორმაციას, რომელიც ნაცვლად კვარტალური განახლებისა, ექვემდებარება გამოქვეყნებას მხოლოდ მასში ცვლილებების განხორციელების შემთხვევაში.

მაგალითად, ყველაზე მაღალი მაჩვენებლებია საკონტაქტო ინფორმაციის (94,3%), დებულება/წესდების (89,4%), ნორმატიული აქტების (84,8%) და უწყების სტრუქტურის (83%) კრიტერიუმებში.

## საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების მაჩვენებლები თემატური ჯგუფების მიხედვით




## 10 ყველაზე ხლმისაწვდომი ინფორმაცია




## 10 ყველაზე დახურული ინფორმაცია



## პროაქტიულად გამოქვეყნებული ინფორმაციის ფორმატი და არქივი

მონიტორინგის ფარგლებში, IDFI-მ აგრეთვე შეისწავლა ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებასთან დაკავშირებული ისეთი საკითხები, რომელიც ეხება ინფორმაციის თემატურ განთავსებას, განთავსების დათარიღებას, გამოქვეყნებული დოკუმენტაციის ფორმატს და არქივს.

საქართველოს მთავრობის დადგენილებაში არსებული ჩანაწერის მიხედვით, დაწესებულება ვალდებულია საჯარო ინფორმაციის გვერდზე განათავსოს მხოლოდ პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის ნუსხის მე–2 ნაწილში თავმოყრილი პუნქტები, რომლებიც დაკავშირებულია უშუალოდ საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან. რაც შეეხება სხვა სახის ინფორმაციას, დადგენილება დაწესებულებას საშუალებას აძლევს საკუთარი შეხედულებისამებრ გადაანაწილოს ვებ–გვერდზე, რაც მომხმარებელს ურთულებს კონკრეტული საკითხზე ინფორმაციის მოძიებას. მონიტორინგის შედეგების მიხედვით, 92 საჯარო დაწესებულებიდან 58-ს ინფორმაცია სრულად წარმოდგენილი ჰქონდა საჯარო ინფორმაციის გვერდზე თემატურად.

საჯარო დაწესებულებებს ეკისრებათ ვალდებულება ვებგვერდზე გამოქვეყნებულ ინფორმაციას მიუთითონ მისი განთავსების თარიღი. აღნიშნული ვალდებულება შესწავლილი დაწესებულებებიდან მხოლოდ 28-ს ჰქონდა შესრულებული.

საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების წესი საჯარო დაწესებულებებს არ ზღუდავს მონაცემების გამოქვეყნების ფორმატთან დაკავშირებით. საერთაშორისო კარგი პრაქტიკის, გათვალისწინებით ამ კუთხით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საჯარო ინფორმაციის ღია მონაცემების ფორმატში გამოქვეყნება. საქართველოს საჯარო დაწესებულებში მონიტორინგის პერიოდში არ დაფიქსირდა ღია მონაცემების (მაგ. CSV ან XML) ფორმატში გამოქვეყნების პრაქტიკა, რაც სამომავლოდ ხელს შეუწყობდა საქართველოს ღია მონაცემების პორტალის DATA.GOV.GE-ს განვითარებას. ამასთან შესწავლილი დაწესებულებებიდან როგორც ფინანსური ასევე სხვა სახის ინფორმაციის გამოქვეყნებისთვის ძირითადად იყენებენ PDF ფაილებს. მხოლოდ, 29 საჯარო დაწესებულება ჰქონდა გამოქვეყნებული Excel-ის ფორმატში გარკვეული ფინანსური ინფორმაცია.

ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების მარეგულირებელი სამართლებრივი აქტებით არ არის დარეგულირებული, მონაცემების ვებგვერდზე შენახვის/დაარქივების წესები. შესაბამისად, საჯარო დაწესებულების მიერ 2019 წლის მონაცემების გამოქვეყნების შემდეგ მას არ ეზღუდება ვებგვერდიდან 2019 ან წინა ნებისმიერი წლის პროაქტიულად გამოქვეყნებული ინფორმაციის აღება. შესწავლილი საჯარო დაწესებულებებიდან 60 -ის ვებგვერდზე შენახული იყო განვლილი წლების მონაცემები. დანარჩენ შემთხვევაში ვებგვერდზე წარმოდგენილი იყო მხოლოდ კონკრეტულ პერიოდში განახლებული მონაცემები.




## ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების დინამიკა

საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების მონიტორინგი, IDFI-მ ასევე ჩაატარა 2014, 2019 და 2020 წლებში. მიმდინარე წელსაც, მონიტორინგი განხორციელდა ანალოგიური მეთოდოლოგიით რაც იძლევა შედარებითი ანალიზის საშუალებას. კვლევის შედეგების თანახმად 2021 წელს, წინა წელთან შედარებით სჯარო დაწესებულებებში საჯარო ინფორმაციის პროაქტიული ხელმისაწვდომობა მხოლოდ 1%-ით გაუმჯობესდა. წინა წელთან შედარებით საჯარო დაწესებულებებში ინფორმაციის ხელმისაწვდომობის საერთო მაჩვენებლის ზრდას მნიშვნელოვნად ხელი შეუწყო სამინისტროებს დაქვემდებარებული უწყებების საერთო მაჩვენებლის 4%-ით გაუმჯობესებამ. სხვა ყველა ჯგუფის შემთხვევაში ინფორმაციის პროაქტიული ხელმისაწვდომობის მაჩვენებელი წინა წელთან შედარებით გარკვეულწილად გაუარესდა. მაგალითად, ცენტრალური საჯარო დაწესებულებების საერთო მაჩვენებელი 4%-ით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საჯარო დაწესებულებების - 19%-ით, ხოლო მთავრობას დაქვემდებარებული და სხვა დამოუკიდებელი უწყებების 1%-ით გაუარესდა. კვლევის ობიექტ უწყებებში სამინისტროებს დაქვემდებარებული უწყებების წილი შეადგენს 67%-ს, შესაბამისად მათი საერთო მაჩვენებლის 4%-ით გაუმჯობესებამ, სხვა ყველა ჯგუფის მაჩვენებლის გაუარესების ფონზე, უზრუნველყო საერთო მაჩვენებლის დაახლოებით წინა წლის ნიშნულზე შენარჩუნება.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საჯარო დაწესებულებები ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების სტანდარტის დამკვიდრების საწყის ეტაპზე, უფრო მაღალი პასუხისმგებლობით ასრულებდნენ მათზე დაკისრებულ ვალდებულებებს. მაგალითად, 2014 წლის მონიტორინგის შედეგებით, მთავრობის დადგენილების ძალაში შესვლიდან დაახლოებით 1 წლის შემდეგ,

საჯარო დაწესებულებების საერთო მაჩვენებელი შეადგენდა 71%-ს, რაც 15%-ით აღემატება 2021 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს .




**შენიშნა: 2014 და 2019 წლებში აჭარის ა/რ-ის საჯარო დაწესებულებების და მთავრობასთან ანგარიშვალდებული სსიპ-ების მონიტორინგი არ განხორციელებულა.**

საქართველოს ცენტრალურ საჯარო დაწესებულებებს შორის, 2020 წელთან შედარებით ინფორმაციის პროაქტიული ხელმისაწვდომობის მაჩვენებელი ყველაზე მეტად გაუმჯობესეს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ (+41%) და ჯანდაცვის სამინისტრომ (13%). 2020 წელს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციის პროაქტიული ხელმისაწვდომობის მაჩვენებელი შეადგენდა მხოლოდ 38%-ს და ცენტრალურ საჯარო დაწესებულებებს შორის ბოლო ადგილს იკავებდა. 2021 წელს მისი მაჩვენებელი 79%-მდე გაიზარდა.

ცენტრალურ საჯარო დაწესებულებებს შორის 2020 წლის მაჩვენებელი ყველაზე მეტად გააუარესეს: შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატმა (-43%) და საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციამ (-22%).

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის მაჩვენებლის გაუარესება განპირობებულია იმ ფაქტით, რომ 2020 წლის მეორე კვარტლის შემდეგ ფინანსური ინფორმაცია აღარ განახლებულა, ხოლო მთავრობის ადმინისტრაციის შემთხვევაში მიმდინარე წელს ფინანსურ ინფორმაციასთან ერთად შეიზღუდა საჯარო ინფორმაციის გაცემის სტატისტიკასთან და საკადრო უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობაც.

**2020 წელთან შედარებით პროაქტიული ხელმისაწვდომობის %-ული მაჩვენებლის ცვლილება ცენტრალურ საჯარო დაწესებულებებში**



2021 წელს სამინისტროებს დაქვემდებარებული 62 უწყებიდან  წინა წელთან შედარებით  29-მა გააუმჯობესა მაჩვენებელი, 9 უწყებამ იგივე შეფასება მიიღო, ხოლო 26-მა გააუარესა.

სამინისტროებს დაქვემდებარებულ უწყებებს შორის ინფორმაციის პროაქტიულად ხელმისაწვდომობის მაჩვენებელი ყველაზე მეტად,  გააუმჯობესეს დაცვის პოლიციამ(+ 45%) და სსიპ 112-მა (+44%). სამინისტროებს დაქვემდებარებულ 10 უწყებას შორის, რომლებმაც 2020 წელს ყველაზე მეტად გააუმჯობესეს ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების მაჩვენებელი, 3 - შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებული უწყებაა, 4 - ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსი,  2 - იუსტიციის სამინისტროსი, ხოლო 1 გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროსი.

ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების მაჩვენებლის გაურესების თვალსაზრისით გამორჩეულია სამოქალაქო ავიაციის  სააგენტო (-42%). აღნიშნული უწყების მაჩვენებლის მნიშვნელოვანი გაუარესება სავარაუდოდ დაკავშირებულია უწყების ახალი ვებ-გვერდი შექმნასთან, სადაც მონიტორინგის მომენტისათვის ვერ მოხერხდა განახლებული მნიშვნელოვანი ინფორმაციის განთავსება.  ასევე, ინფორმაციის  გამოქვეყნების მაჩვენებელი მნიშვნელოვნად გააუარესეს სოციალური მომსახურების სააგენტომ (-37%) და საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტომ (-31%).

სამინისტროებს დაქვემდებარებულ 10 უწყებას შორის, რომლებმაც 2020 წელს ყველაზე მეტად გააუარესეს ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების მაჩვენებელი 4 იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებული უწყებაა, 2 ეკონომიკისა და მგრადი განვითარების სამინისტროს , 2 ჯანდაცვის სამინისტროს, ასევე 2 განათლების და მეცნიერების სამინისტროს.

## სამინისტროებს დაქვემდებარებული უწყებები რომლებმაც 2020 წელთან შედარებით ყველაზე მეტად გააუმჯობესეს და გააურესეს ინფორმაციის პროაქტიული ხელმისაწვდომობა



აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საჯარო დაწესებულებებს შორის, ერთადერთ უწყებას წარმოადგენს აჭარის ა/რ-ის უმაღლესი საბჭო, რომელმაც წინა წელთან შედარებით ინფორმაციის გამოქვეყნების მაჩვენებელი 4%-ით გაუმჯობესა და მაქსიმალური შედეგი 100% აჩვენა. აჭარის მთავრობის და სამინისტროების შემთხვევაში გაუარესები მაჩვენებელი -2%-დან -47%-მდე მერყეობს. მათ შორის ყველაზე მეტად -47%-ით გაუარესდა აჭარის განათლების, კულტურის და სპორტის სამინისტროს მაჩვენებელი, ასევე 32%-ით გაუარესდა აჭარის მთავრობის აპარატის მაჩვენებელი.




ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების დინამიკის ანალიზის კუთხით, განსაკუთრებით მნიშნელოვანია ისეთი უწყებების გამორჩევა რომლებიც განვლილი 2020 წლის მონიტორინგის ფარგლებში მომხმარებელს ვერ სთავაზობდნენ პროაქტიული გამჭვირვალობის მინიმალურ სტანდარტსაც  და განახორციელეს ქმედითი ნაბიჯები.  სულ მონიტორინგის ფარგლებში იდენტიფიცირებულია 7 ისეთი უწყება, რომლებსაც 2020 წლის მაისის  მდგომარეობით არ გააჩნდა საკუთარი ვებ-გვერდი ან/და არ ქონდა შექმნილი საჯარო ინფორმაციის განყოფილება და 2021 წლის მდგომარეობით უკვე  უზრუნველყოფილია გარკვეული ინფორმაციის პროაქტიული ხელმისაწვდომობა. აღნიშნული 7 უწყებიდან, 4 მიეკუთვნება საქართველოს მთავრობასთან ანგარიშვალდებულ და სხვა დამოუკიდებელი უწყებების ჯგუფს.

მაგალითად, საჯარო და კერძო თანამშრომლობის სააგენტოს 2020 წლის მონიტორინგის ფარგლებში არ ქონდა საკუთარი ვებ-გვერდი, ხოლო 2021 წლის მონიტორინგის პერიოდისათვის მის ახალ ვებ-გვერდზე შექმნილია საჯარო ინფორმაციის განყოფილება და მისი ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების მაჩვენებელი შეფასებულია 96%-ით. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა და ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრმა, რომლებსაც 2020 წლის მდგომარეობით საკუთარ ვებ-გვერდზე არ გააჩნდათ საჯარო ინფორმაციის განყოფილება, მიიღეს ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების ახალი დადგენილება და დაიწყეს ინფორმაციის გამოქვეყნება.

**უწყებები რომლებმაც 2020 წლის IDFI-ს მონიტორინგის შემდეგ დაიწყეს ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნება**

| საჯარო დაწესებულება | 2020 წლის სტატუსი | 2021 წლის შედეგი |
|---|---|---|
| საჯარო და კერძო თანამშრომლობის სააგენტო | არ ქონდა ვებ-გვერდი | 96% |
| დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო | არ ქონდა ვებ-გვერდი | 55% |
| ახალგაზრდობის სააგენტო | არ ქონდა ვებ-გვერდი | 18% |
| ბულალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური | არ ქონდა საჯარო ინფორმაციის განყოფილება | 60% |
| ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი | არ ქონდა საჯარო ინფორმაციის განყოფილება | მიღებულია ახალი დადგენილება და დაწყებულია ინფორმაცის გამოქვეყნება |
| სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური | არ ქონდა საჯარო ინფორმაციის განყოფილება | მიღებულია ახალი დადგენილება და დაწყებულია ინფორმაცის გამოქვეყნება |
| საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური | არ ქონდა საჯარო ინფორმაციის გვერდზე ინფორმაცია გამოქვეყნებული | 78% |

## საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების კარგი პრაქტიკა და რეკომენდაციები

2021 წლის სექტემბრის  მდგომარეობით განხორციელებული მონიტორინგის შედეგები აჩვენებს, რომ  უწყებების  უმრავლესობა კვლავ ვერ უზრუნველყოფს საჯარო ინფორმაციის მაღალი სტანდარტით  და თანმიმდევრულ გამოქვეყნებას.

2013 წელს საქართველოში დანერგილი სახელმწიფო უწყებების გამჭვირვალობის  სრულიად ახალი, პროაქტიული გამჭვირვალობის სტანდარტის მიმართ, საჯარო დაწესებულებების მხრიდან არსებული დამოკიდებულება  მნიშვნელოვნად აზარალებს რეფორმის  შემდეგი განვითარების პერსპექტივებს.  ამ მხრივ განსაკუთრებულ  აღნიშვნას საჭიროებს ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) მთავარი მაკოორდინერებელი უწყების საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის დამოკიდებულება, რომელიც 2014 წლიდან ფაქტობრივად არ ასრულებს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრულ ვალდებულებებს.

შედეგად, საქართველოს ხელისუფლების მხრიდან სათანადო რეაგირების გარეშე რჩება IDFI-ს ისეთი ინიციატივები როგორიცაა:  ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების არსებული სტანდარტის გაუმჯობესება და რეფორმის მეორე ტალღის განხორციელება, ინფორმაციის ღია მონაცემების ფორმატში გამოქვეყნების და ღია მონაცემთა პორტალზე - data.gov.ge განთავსების ვალდებულების აღება, კოვიდ-19 კრიზისის დროს საჯარო დაწესებულებების მიერ პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის ნუსხის პანდემიის გამოწვევებთან შესაბამისობაში მოყვანა და სხვა.

 საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების თვალსაზრისით არსებული გამოწვევების ფონზე, დადებითად უნდა შეფასდეს 2021 წელს ცალკეული უწყებების მიერ პროაქტიული გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით გადადგმული ნაბიჯები. მაგალითად, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა და  ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულმა ცენტრმა მიიღეს ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების ახალი დადგენილება და დაიწყეს შესაბამისი საჯარო ინფორმაციის ვებგვერდზე გამოქვეყნება. ასევე, მიმდინარე მონიტორინგის ფარგლებში იდენტიფიცირებულია დამატებით 5 საჯარო დაწესებულება, რომლებმაც 2020 წლის IDFI-ს მონიტორინგის შემდეგ უზრუნველყვეს ვებ-გვერდზე საჯარო ინფორმაციის განყოფილების შექმნა და გარკვეული  ინფორმაციის გამოქვეყნება.

ცალკეული უწყებების შემთხვევაში ვხდებით  ინფორმაციის ზოგიერთი კატეგორიის ჩაშლილად და დეტალურად განთავსების შემთხვევებს.  მაგალითად, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს და განათლების და მეცნიერების სამინისტროს ვებ-გვერდებზე შრომის ანაზღაურების და სამივლინებო ხარჯების შესახებ ინფორმაცია გამოქვეყნებულია თანამდებობის პირებზე ცალ-ცალკე სახელისა და გვარის მითითებით ჩაშლილად, ხოლო სხვა თანამშრომლებზე ჯამური სახით. ასევე, ბალანსზე რიცხული ავტოსატრანსპორტო საშუალებების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია ავტომობილის მოდელის, გამოშვების წელის, შესყიდვის თარიღის, ფასის და ნარჩენი ღირებულების მითითებით.

IDFI-ის მოსაზრებით კარგი პრაქტიკა ითვალისწინებს მაქსიმალურად დეტალური ინფორმაციის გამოქვეყნებას შემდეგ პუნქტებზე:

| მთავრობის დადგენილების მიხედვით გამოსაქვეყნებელი ინფორმაცია | რეკომენდაცია |
|---|---|
| ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე და მე-40 მუხლების შესაბამისად განცხადებების შესახებ ზოგადი სტატისტიკა. | საჯარო ინფორმაციის მოთხოვნებით შემოსული წერილების რეესტრი, მოთხოვნის თარიღის, გამომგზავნის, ადრესატის, შინაარსის და განხილვის შედეგის მითითებით. |
| ინფორმაცია სახელმწიფო ქონების გასხვისებისა და სარგებლობაში გადაცემის შესახებ. | ქონების მიმღების, გადაცემული ქონების ჩამონათვალის და მისი საბალანსო ღირებულების მითითებით. |
| რეკლამის განთავსებაზე გაწეული ხარჯები. | რეკლამის განთავსების ადგილის, რეკლამის სახეობის და საფასურის მითითებით. |
| ინფორმაცია გაცემული სარგოს, დანამატებისა და პრემიების შესახებ. | თანამდებობრივი სარგოების, სახელფასო დანამატების და პრემიების შესახებ ინფორმაციის თანამდებობის პირებზე ცალ-ცალკე სახელისა და გვარის მითითებით, ხოლო სხვა თანამშრომლებზე ჯამური სახით. |
| ინფორმაცია ოფიციალურ და სამუშაო ვიზიტებზე გაწეული სამივლინებო ხარჯების შესახებ. | თანამდებობის პირებზე  ცალ-ცალკე სახელის და გვარის, მივლინების თარიღის, მიზნის, ქვეყნის და შესაბამისი ხარჯების მითითებით (სასტუმრო, მგზავრობა, დღიური და სხვა). სხვა თანამშრომლებზე მხოლოდ დაჯამებული სახით. |
| ბალანსზე რიცხული ავტომობილების ჩამონათვალი მოდელის მითითებით. | ავტომობილის მოდელის, გამოშვების წელის, შესყიდვის თარიღის, ფასის და ნარჩენი ღირებულების მითითებით. |
| საწვავის მოხმარების ხარჯები. | თანამდებობის პირებზე განპიროვნებულ ავტომობილებზე ცალ-ცალკე და სხვა თანამშრომლებზე ჯამურად. |
| ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური მომსახურების ხარჯები. | თანამდებობის პირებზე განპიროვნებულ ავტომობილებზე ცალ-ცალკე და სხვა თანამშრომლებზე ჯამურად. |
| სატელეფონო საუბრებზე გაწეული ხარჯები. | თანამდებობის პირებზე გაწეული ხარჯები (ჯამურად) და სხვა თანამშრომლებზე გაწეული ხარჯები (ჯამურად). |
| მიღებული და გაცემული გრანტები. | თითოეული გრანტის მიღების/გაცემის ადრესატის, მისი ოდენობის და მიზნობრიობის მითითებით. |

პროაქტიულად სავალდებულოდ გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის გარდა, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ მაქსიმალურად იქნეს უზრუნველყოფილი ადმინისტრაციული ორგანოების მიერ საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი სხვა ინფორმაციის ხელმისაწვდომობა. მაგალითად, COVID 19 პანდემიით შექმნილი კრიზისული მდგომარეობის ფონზე, მნიშვნელოვანია საჯარო დაწესებულებების მიერ, პანდემიის მიმდინარეობისას გაწეულ ხარჯებთან დაკავშირებული ინფორმაციის მაქსიმალური გამჭვირვალობის უზრუნველყოფა.

ზოგიერთი უწყების მიერ ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულია პანდემიის მიმდინარეობასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი ინფორმაცია. თუმცა, მისი გამოქვეყნების ფორმა და შინაარსი ხშირ შემთხვევაში ვერ პასუხობს გამჭვირვალობის მაღალი სტანდარტის მოთხოვნებს. მაგალითად, საქართველოს მთავრობის მიერ შეიქმნა სპეციალური ვებ-გვერდი StopCov.ge, რომელიც საზოგადოებას ინტერაქტიულად აწვდის პანდემიის მიმდინარეობის შესახებ, ზოგად სტატისტიკურ მონაცემებს, პანდემიის ფარგლებში შემუშავებულ სამოქმედო გეგმებს, სოციალური დახმარების მიღების ინსტრუქციებს და სხვა. პანდემიის მიმდინარეობის შესახებ შედარებით დეტალური სტატისტიკური მონაცემები წარმოდგენილია ჯანდაცვის სამინისტროს და დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ვებგვერდებზე. თუმცა, აღნიშნული მონაცემების ერთობლიობა ვერ უზრუნველყოფს პანდემიასთან ბრძოლის, ვაქცინაციის თუ მასთან დაკავშირებული სხვა პროცესების მაქსიმალურ გამჭვირვალობას, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობდა ხელს მოქალაქეთა ინფორმირებულ გადაწყვეტილებებს. მაგალითად, პრობლემურია ისეთი მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მქონე სტატისტიკური მონაცემების ხელმისაწვდომობა როგორიცაა ვაქცინირებულ პირებში ვირუსით გარდაცვლილთა დეტალური სტატისტიკა, ვირუსით გარდაცვლილთა სტატისტიკური მონაცემები ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, პანდემიის პირობებში განხორციელებული შესყიდვების დეტალური ჩამონათვალი და სხვა.

საჯარო დაწესებულებებში ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, სასურველია საჯარო დაწესებულებებმა გაითვალისწინონ IDFI-ს ის ძირითადი რეკომენდაციები, რომელიც ეხება სავალდებულო პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის ნუსხის გაუმჯობესებას, მათ შორის, კრიზისულ სიტუაციებში მოქნილი ვალდებულებების განსაზღვრას. ასევე მნიშნელოვანია:

- საჯარო დაწესებულებებმა უნდა უზრუნველყონ მათი საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა. მათ შორის სავალდებულოდ უნდა განისაზღვროს იმ ინფორმაციის გამოქვეყნება, რომელის შესახებაც მოთხოვნით წლის განმავლობაში საჯარო დაწესებულებას მიმართა 3 და მეტმა განმცხადებელმა;

- საჯარო დაწესებულებები არ უნდა შემოიფარგლონ მთავრობის დადგენილებით გათვალისწინებული მინიმალური სტანდარტით და ინფორმაციას უნდა აქვეყნებდნენ დეტალური სახით (მაგ. თანამდებობის პირთა სახელებისა და გვარების მითითებით);

- უნდა დაინერგოს საჯარო ინფორმაციის ღია მონაცემების ფორმატში გამოქვეყნებისა და მათი ღია მონაცემების პორტალზე data.gov.ge-ზე განთავსების პრაქტიკა

| **საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების რეიტინგი**<br>(2021 წლის აგვისტო-სექტემბრის მონიტორინგის შედეგები) | | |
|---|---|---|
| N | **საჯარო დაწესებულება** | **შედეგი** |
| **1** | საქართველოს პარლამენტის აპარატი | 100% |
| **2** | სტატისტიკის ეროვნული სამსახური | 100% |
| **3** | განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი | 100% |
| **4** | შინაგან საქმეთა სამინისტრო | 100% |
| **5** | საფინანსო-ანალიტიკური სამსახური | 100% |
| **6** | აჭარის ა/რ-ის უმაღლესი საბჭო | 100% |
| **7** | თავდაცვის სამინისტრო | 97% |
| **8** | საჯარო და კერძო თანამშრომლობის სააგენტო | 96% |
| **9** | ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი | 95% |
| **10** | სახაზინო სამსახური | 94% |
| **11** | ფინანსთა სამინისტროს აკადემია | 94% |
| **12** | სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის  რეგულირების სააგენტო | 93% |
| **13** | შსს აკადემია | 93% |
| **14** | განათლების და მეცნიერების სამინისტრო | 90% |
| **15** | იუსტიციის სამინისტრო | 90% |
| **16** | საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია | 89% |
| **17** | დაცვის პოლიცია | 88% |
| **18** | აღსრულების ეროვნული ბიურო | 85% |
| **19** | სსიპ 112 | 85% |
| **20** | ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო | 84% |
| **21** | ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია | 82% |
| **22** | საავტომობილო გზების დეპარტამენტი | 81% |
| **23** | საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახური | 80% |
| **24** | გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო | 79% |
| **25** | რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო | 79% |
| **26** | შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი | 79% |
| **27** | საქართველოს ოლიმპიური რეზერვების მზადების ეროვნული ცენტრი. | 78% |
| **28** | საქართველოს საკანონმდებლო მაცნე | 78% |
| **29** | საქართველოს ნოტარიუსთა პალატა | 78% |
| **30** | საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური | 78% |
| **31** | ფინანსთა სამინისტრო | 76% |
| **32** | შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი | 74% |
| **33** | შსს მომსახურების სააგენტო | 74% |
| **34** | ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტო | 71% |
| **35** | გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი | 71% |
| **36** | კონკურენციის სააგენტო | 70% |
| **37** | ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური | 69% |
| **38** | იუსტიციის სახლი | 67% |
| **39** | ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო | 66% |

| | | |
|---|---|---|
| **40** | აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო – აკრედიტაციის ცენტრი | 61% |
| **41** | ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური | 60% |
| **42** | ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო | 58% |
| **43** | სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო | 57% |
| **44** | დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო | 55% |
| **45** | ღვინის ეროვნული სააგენტო | 55% |
| **46** | სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო | 55% |
| **47** | საჯარო სამსახურის ბიურო | 55% |
| **48** | სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო | 55% |
| **49** | საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო | 54% |
| **50** | აჭარის ა/რ-ის სოფლის მეურნეობის სამინისტრო | 51% |
| **51** | საქართველოს ეროვნული არქივი | 50% |
| **52** | განათლების საერთაშორისო ცენტრი | 47% |
| **53** | საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო | 45% |
| **54** | აჭარის ა/რ-ის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო | 45% |
| **55** | შემოსავლების სამსახური | 44% |
| **56** | აწარმოე საქართველოში | 43% |
| **57** | აჭარის ა/რ-ის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო | 42% |
| **58** | აჭარის ა/რ-ის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო | 41% |
| **59** | საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური | 40% |
| **60** | საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო | 40% |
| **61** | ეროვნული სატყეო სააგენტო | 39% |
| **62** | სოციალური მომსახურების სააგენტო | 39% |
| **63** | შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი | 38% |
| **64** | საგარეო საქმეთა სამინისტრო | 36% |
| **65** | დაცული ტერიტორიების სააგენტო | 35% |
| **66** | იუსტიციის სასწავლო ცენტრი | 35% |
| **67** | სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო | 35% |
| **68** | სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო | 35% |
| **69** | გარემოს ეროვნული სააგენტო | 34% |
| **70** | საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური | 33% |
| **71** | საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო | 33% |
| **72** | იურიდიული დახმარების სამსახური | 33% |
| **73** | სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო | 32% |
| **74** | მთავრობის ადმინისტრაცია | 31% |
| **75** | ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო | 29% |
| **76** | აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატი | 29% |
| **77** | წიაღის ეროვნული სააგენტო | 28% |
| **78** | ეროვნული თავდაცვის აკადემია | 28% |
| **79** | მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი | 25% |
| **80** | საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი | 24% |
| **81** | ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტო | 24% |

| | | |
|---|---|---|
| **82** | სურსათის ეროვნული სააგენტო | 24% |
| **83** | სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური | 23% |
| **84** | სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორია | 20% |
| **85** | სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი | 19% |
| **86** | კადეტთა სამხედრო ლიცეუმი | 19% |
| **87** | ახალგაზრდობის სააგენტო | 18% |
| **88** | სასაზღვრო პოლიცია | 17% |
| **89** | ბიზნესომბუდსმენის აპარატი | 17% |
| **90** | საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ | 15% |
| **91** | სამოქალაქო ავიაციის სააგენტო | 13% |
| **92** | კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო | 12% |
| **93** | შსს ჯანმრთელობის დაცვის სამსახური | 7% |

| **საჯარო ინფორმაციის გვერდზე არ აქვს არანაირი ინფორმაცია გამოქვეყნებული/განახლებული ან მონიტორინგის პროცესში საჯარო ინფორმაციის გვერდი იყო გათიშული** | |
|---|---|
| **1** | სპეციალური პენიტენციური სამსახური |
| **2** | ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს აპარატი |
| **3** | განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა |
| **4** | გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი |
| **5** | ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტო |
| **6** | სსიპ დელტა |

| **არ აქვთ ვებგვერდზე საჯარო ინფორმაციის განყოფილება** | |
|---|---|
| **1** | ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის საინვესტიციო ცენტრი |
| **2** | ლევან მიქელაძის სახელობის დიპლომატიური სასწავლო და კვლევითი ინსტიტუტი |
| **3** | ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა |
| **4** | საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი |
| **5** | შემოქმედებითი საქართველო |
| **6** | რელიგიის სააგენტო |
| **7** | სახელმწიფო ენის დეპარტამენტი |

| **არ აქვთ საკუთარი ვებგვერდი** | |
|---|---|
| **1** | კულტურის და სპორტის სამინისტრო |
| **2** | დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო |
| **3** | მსჯავრდებულთა პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ცენტრი |
| **4** | ციფრული მმართველობის სააგენტო |
| **5** | საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრი |
| **6** | დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტო |
| **7** | შრომის ინსპექციის სამსახური |
| **8** | ანაკლიის ღრმაწყლოვანი ნავსადგურის განვითარების სააგენტო |
| **9** | ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტო |
| **10** | კიბერ უსაფრთხოების ბიურო |
| **11** | თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ჰოსპიტალი |
| **12** | სახელისუფლებო სპეციალური კავშირების სააგენტო |
| **13** | სახელმწიფო უზრუნველყოფის სააგენტო |

**ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI)**

ტ. შევჩენკოს ქ. 20 ტელ: +995 32 2 921514 ელ-ფოსტა: INFO@IDFI.GE